**ხელშეკრულება #152**

ქ. ყვარელი 03.08.2019 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის სახით ერთი მხრივ და ა(ა)იპ საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაცია, წარმოდგენილი პრეზიდენტის ანა ყარყარაშვილის სახით "მიმწოდებლად" წოდებული, მეორე მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

**1.ხელშეკრულების საგანი**

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სხვადასხვა საქონლის (CPV, 22400000; 18300000; 18500000; 33700000 დანართი N1) მიწოდება.

**2.საქონლის მიწოდების წესი, ვადები და ღირებულება**

2.1. მიმწოდებელი შემსყიდველს საქონელს მიაწოდებს 2019 წლის 3 აგვისტოს.

2.2ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2935 (ორი ათას ცხრაას ოცდახუთმეტი) ლარს.

**3. ანგარიშწორება მხარეთა შორის**

**3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტისა წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.**

**4.მხარეთა ვალდებულებები**

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას

4.1.1. მუნიციპალიტეტის მერიას მიაწოდოს ზემოთაღნიშნული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში

4.2."შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ანგარიშსწორების ფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

4.3 მიწოდებულ საქონელზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის, ან და ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლის უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

**5. დავათა განხილვის წესი**

5.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

**6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6,2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

**7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

7,1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 1 თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას

| | |
|---|---|
| `შემსყიდველი~<br><br>ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია;<br><br>მისამართი კუდიგორის ქ. #1;<br><br>ს/კ 241578574 | მიმწოდებელი~<br><br>ა(ა)იპ საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაცია<br><br>ს/კ 401950714<br><br>საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი"<br><br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE35BG 0000 0002 7897 8000 |
| ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი:<br><br>რ.სესიაშვილი KVARELI MUNICIPALITY Digitally signed by KVARELI MUNICIPALITY Date: 2019.08.05 11:00:02 +04'00' | ა(ა)იპ საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი<br><br>ა. ყარყარაშვილი |

ხარჯთაღრიცხვა

| დასახელება | რაოდენობა | ერთ ღირებულება | საერთო ღირებულება | |
|---|---|---|---|---|
| სიგელი | 3 | 3 | 9 | 22400000 |
| მაისური | 90 | 30 | 2700 | 18300000 |
| მედალი | 3 | 5 | 15 | 18500000 |
| თასი | 1 | 25 | 25 | 18500000 |
| კოსმეტიკის ნაკრები კალათით | 3 | 62 | 186 | 33700000 |
| | | | 2935 | |

ა. ყარყარაშვილი

ა(ა)იპ საქართველოს ქალთა ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი